№ 121 **სახალხო გაზეთი** № 121

პარასკევი, 1 ოქტომბერი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწ. პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
# სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
# სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

* * * * **ხელის-მომწერთა საყურადღებოდ** * * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ანასტასია თადეოზის ასული, გიორგი, თადეოზი, ირაკლი პავლეს ძენი, მარიამ პავლეს ასული, ნინო პავლეს ასული აბესალომიშვილისა შვილით, ეკატერინე პავლეს ასული ქუთათელაძისა ქმრით და **მარიამ თადეოზის ასული დათოშვილისა** ქმრით **დავით ივანეს ძე დათოშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—ძვირფასი ქმრისას, მეორენი—საყვარელი მამისას და მესამენი—დაუვიწყარ სიძისას და ქვისლისას

პავლე გიორგის ძის ბურჯანაძისას.

პანაშვიდები ყოველ დღე დილის 1 ს. და საღამოს 7 ს. (კვირაცხოვლის ქუჩა, № 25), გამოსვენება კვირას 3 ოქტომბერს დილის 9 საათზე კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (2—105—1)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა და ქართველ მსახიობთა დასი ამით აცნობებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 3 ოქტომბერს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი დამსახურებულ მსახიობ ქალის

ნატო მერაბის ასულის გაბუნია-ცაგარელის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 ს., ხოლო პანაშვიდი 11 ნახევ. საათზე. (2—უ—1)

შაბათს, 2 ოქტომბერს, სოფელ ფლავში, საგვარეულო ეკლესიაში, გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად მოკლულის

თავ. გრიგოლ კონსტანტინეს ძის ერისთავის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **კნეინა ნინა ივანეს ასული.** (1—102—1)

კვირას, 3 ოქტომბერს, ბათუმში

გრიგოლ იოსების ძის ვოლსკის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის და **ბარბარე იოსებ ვოლსკის ასული** და დეიდაშვილი **ივანე ივანეს ძე ზურაბიშვილი**. (1—104—1)

ამა წლის 7 ოქტომბერს სოფელ ბულაჩაურში (დუშეთის მაზრა) გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

თ. ნიკოლოზ გიორგის ძის ხიმშიაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **ბარბარე რაფაელის ასული შვილებით.** (2—164—1)

ტელეფონი № 862. ქართული თეატრი **წარმოდგენა № 3.**

პარასკევს, 1 ოქტომბერს, 1910 წელს,
ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა:

სიმახინჯე

დრამა 4 მოქ. ს. შიუკაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ვიქტორელი მ., ლოლუა ა., ქილარჯიშვილი მ., მოთაძე ა., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: გვარამაძე ნ., ზარდალიშვილი ი., მდივანი ბ., მატარაძე გ., მგალობლიშვილი დ., მამფორა ი., მაღიკაშვილი ვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა. რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ადგილების ფასი: გალერეია 20—80 კ. მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებს, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „სატანა“, გორდინისა, „მზის ამოსვლამდის“, ჰაუპტმანისა; „ორი ვნება“, ბატაილისა; „ქალის ჭკუა“, მისს გობბსისა და სხ.

პროვინციაში გაზეთების გამგზავნი

ბიურო

რომელსაც შეადგენენ გაზეთები: „სახალხო გაზეთი“, „საქმე“, „ზაკავკაზია“, „ნოვაიარეჩი“ და ჟურნალები „მათრახი და სალამური“, „ერი“ და „თეატრი და ცხოვრება“, ჰყავს შემდეგი აგენტები:

გორში—მ. არჩვაძე.
მიხაილოვში—ს. ბატმანოვი.
ყვირილაში—ი. გაჩეჩილაძე.
ჭიათურაში—ებანოიძე.
ქუთაისში—ი. კვიცარიძე.
სამტრედიაში—ი. ურუშაძე.
ლანჩხუთში—მატიტაშვილი.
ფოთში—ს. ორაგველიძე.
ბათუმში—გ. მახარაძე.
თელავში—ონიკაშვილი.
სიღნაღში—ხატიევი.
ბაქოში—ნ. აბაშიძე.
სოხუმში—ნ. ჯანანია და
ერევანში—ა. მესანოვი.

საჭიროა აგენტი

ელისავეტპოლში (განჯა), და ყარსში, ალექსანდროპოლში, ჩოხატაურში, ნოვოროსიისკში, ეკატერინოდარში, ნუხაში, შემახაში, ვლადიკავკავში, არმავირში, დონ.-როსტოვში, ჯულფაში და დარუბანდში!

აგენტობის მსურველებმა უნდა მიმართონ ბიუროს გამგეს ერასტი დავითის ძეს გორდელაძეს ამ ადრესით: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, общій входъ съ нотаріусомъ Мгебровымъ. Эрастію Давидовичу Горделадзе.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. გაზაყბაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
[illegible]—ყოვ. ყურ., ცხვირ. და [illegible] ყოველ დღე 12—1 ს.
ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.
ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (900—ნ.—451)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოვებულია და სტაციონარული განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.
ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.
საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—1½ ს.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.
კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მალაღაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.
ქაჯაიძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
ფირაღოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.
ხობთალევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა [illegible] (900 ნ.—290)

ვასწავლი

ხალხურ სიმღერებს

და ვამზადებ ქართულ გუნდს.

ორშაბათობით და ოთხშაბათობით სად. 4—6 ს.
ავჭალის მოედანი, N 13, ნემეცების სასაფლაოს გვერდით. (5—უ.—5)

ექიმი გ. ნ. მაზაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად **კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება** დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (სახ. ავადმყ.). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ხალ.—41)

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—226)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ N 4, სახლი ჯაბაშვილისა (უ)

ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9 დან 11-მდე კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
გადასახლდა იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე, და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.
ვერა, ყორღანოვის ქ. 20 (0—6.—55)

ექიმი მ. ს. არჯევანიძე
ქუთაისში.
იღებს შინაგან და დედათა სენით ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 6—7 საათ. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგიელოვისა. (25—9—16)

ქ. შ. წ.-კით ს მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი
ეპისკოპოსის კირიონისა
„კულტურული გავლენა ივერიისა რუსეთის ისტორიაზე“
ფასი 3 მან. (10—64—10)

ტფილისი, 1 ოქტომბერი

ფინლანდიის მდგომარეობაზე

პატარა ფინლანდიის თავისუფალი წესწყობილება თანამედროვე რუსეთის პოლიტიკის მესვეურებს თვალში ეჩხირებათ. არც საკვირველია. ფინლანდია რუსეთის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ საკუთარი საკანონმდებლო ორგანიზაცია აქვს, რომლის საფუძველსაც დემოკრატია შეადგენს და რომელიც ქვეყნის კულტურულ განვითარებისთვის წმინდა საკონსტიტუციო გზას მისდევს. რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ და საბჭომ უკვე გადასწყვიტეს, სამუდამოდ შეეკრან ფრთები ფინლანდიის თავისუფლებას, და დაამტკიცეს ამ განზრახვით შედგენილი კანონ-პროექტები. როგორც ჩვენს მკითხველს ეხსოვება, ეს კანონპროექტები ფინლანდიას საერთო საიმპერიო კანონმდებლობის წესს უმორჩილებენ ისეთ საქმეების შესახებ, რომელთაც საერთო მნიშვნელობა აქვთ, და რუსეთის ქვეშევრდომებს იმავ უფლებებს ანიჭებენ ფინლანდიაში, რაც თვით ფინლანდიის მცხოვრებლებსა აქვთ. რადგან ეს კანონპროექტები ფინლანდიას შეეხებოდნენ და არა რუსეთს, ამიტომ თანახმად ფინლანდიის ეხლანდელ კონსტიტუციისა, განხილულ უნდა ყოფილიყვნენ ფინლანდიის სეიმის მიერ, რომლის დაუდასტურებლივ კანონიერ ძალას ვერ შეიძენდნენ. თუმცა არც ამ პროექტების რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებებში განხილვა ეთანხმებოდა საკანონმდებლო წესს, მაგრამ რუსეთის მთავრობამ არ მოისურვა კანონიერების ამ ერთი დარღვევისთვის მეორე მოემატებინა და რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებათაგან მოწონებული პროექტები პირდაპირ განეხორციელებინა, რისთვისაც სხვათა შორის საჭირო იქნებოდა, ფინლანდიის ეხლანდელი მმართველთა და ადმინისტრატორთა ნაცვლად მას ძალით თავისი აგენტები ჩაეყენებინა. ეს ერთგვარი coup d'état იქნებოდა და აი ამისთვის გვერდის ასაქცევად რუსეთის მთავრობამ უმჯობესად სცნო, სათათბიროსა და საბჭოსაგან უკვე მოწონებული კანონპროექტები ფინლანდიის სეიმისთვის გადაეცა განსახილველად. ეს გზა უფრო კანონიერსა ჰგავდა, ვიდრე კანონპროექტების პირდაპირი გატარება ცხოვრებაში სეიმის დაუკითხავად. რუსეთის მთავრობას ამით თავის მოქმედებისთვის კანონიერების გარეგნობა უნდოდა მიეცა.

თუმცა მთელის ქვეყნისთვის ცხადია, რომ ფინლანდიის სეიმში გადაცემულ კანონ-პროექტების ზურგს უკან უზარმაზარ რუსეთის ძალა სდგას, მაგრამ კანონიერების გრძნობაში აღზრდილი და საკონსტიტუციო წესებს ჩვეული ფინლანდია, არ შემკრთალა და ფიზიკურ ძალის შიშით უკან არ დახეულა. ფინლანდიის მცხოვრებლებს და წარმომადგენლებს თითქოს ვერც კი წარმოუდგენიათ, შესაძლებელი იყოს, რაიმე სახელმწიფოებრივი განზრახულება ასრულდეს გარეშე კანონის ფარგლებისა, და ამიტომ მტკიცედ და დინჯად ადევნებენ თვალყურს ისტორიულ მნიშვნელობის მოვლენათა განვითარებას. კანონპროექტების განსახილველად მოწოდებულმა ფინლანდიის საგანგებო სეიმმა წარბშეუხრელად განაცხადა უარი ამ განხილვაზე იმ საბუთით, რომ ფინლანდიის კონსტიტუციით რუსეთის კანონმდებლობის და მმართველობის ორგანოებს ფინლანდიის სეიმში საკანონმდებლო ინიციატივა არ ეკუთვნით.

აღმოჩნდა, რომ ფინლანდიის თავისუფლების გასაუქმებლად კანონპროექტების მიღება უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე ამ კანონების ცხოვრებაში გატარება. სეიმის პასუხმა დიდს საგონებელში ჩააგდო რუსეთის პოლიტიკოსები. ერთის მხრივ შეუძლებელი იყო, რუსეთს თავისი კანონპროექტები უკან წაეღო—ამაზე არცკი ფიქრობდა ვინმე, მეორეს მხრივ კი ფინლანდიელები კანონიერების ფარგალს არა სცილდებოდნენ და ამიტომ მათ წინაამდეგ ძალის ხმარება მოუხერხებელი იყო. ამ კრიტიკულ მდგომარეობიდან გამოსასვლელად სხვა და სხვა მხრიდან სხვა და სხვა გვარ დარიგებას იძლეოდნენ, რომელთა უმრავლესობა სამხედრო ძალით ურჩ ფინლანდიის დაპირებას ურჩევდა მთავრობას. 24 სექტემბრის თარიღით გამოცხადდა უმაღლესი მანიფესტი, რომელიც დაითხოვს რა ეხლანდელ საგანგებო სეიმს, ჰნიშნავს სეიმის დეპუტატთა ახალ არჩევნებს.

ეს უმაღლესი მანიფესტი, რა თქმა უნდა, ფინლანდიის საქმეებში გაჩოწეულ კრიზისს საბოლოოდ არა სწყვეტს, მაგრამ მაინც წმინდა საკონსტიტუციო საშუალებაა იმის გადასაწყვეტად. უმაღლეს მთავრობის და სეიმის შუა ჩამოვარდნილი უთანხმოება მსჯავრის დასადებად თვით ხალხში გადიტანება. ფინლანდიის მცხოვრებლებმა ახალის არჩევნებით, რომელიც 20 სექტემბერს (ახალის სტილით 2 იანვარს), დაიწყება, უნდა გამოსთქვან თავისი აზრი იმ განხეთქილების შესახებ, რომელმაც სეიმის დათხოვნა გამოიწვია. საქმე უბრალო რამ საკანონმდებლო საკითხს კი არა, პირდაპირ თვით ფინლანდიის სახელმწიფოებრივ მდგომარეობას ეხება. პროექტები, რომელთა განხილვაც სეიმმა არ მოისურვა, ფინლანდიას ისე უცქერიან, როგორც იმპერიის ერთ-ერთ განაპირა პროვინციას, რომელსაც მცირეოდენი თვით-მმართველობა აქვს მინიჭებული ადგილობრივ საქმეთა განსახილველად, თვით ფინლანდია კი თავის თავს ცალკე სახელმწიფოდ სთვლის, რომელსაც რუსეთთან მხოლოდ საერთო მონარქია ჰყავს. განსხვავება მეტად ღრმა არის და დიდ-მნიშვნელოვანია. ფინლანდიას აქამდისაც არა ერთხელ უნახავს განსაცდელი დამოუკიდებლობის დაკარგვისა, მაგრამ იმის მცხოვრებთა შეგნებულ მოქმედებას, კანონიერ წესების სასტიკად დაცვას და ლეგალურ ფორმებში პროტესტის განცხადებას დღევანდლამდე შეუნარჩუნებია ეს დამოუკიდებლობა. მას შემდეგ, რაც რუსეთში მოიკიდა ფეხი რეაქციამ, ფინლანდია ხელ-ახლა სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდა. უკანასკნელ წლების განმავლობაში რუსეთის რეაქციის სულის ჩამდგმელები მოსვენებას არ აძლევენ კულტუროსან ფინლანდიას და დაუდგრომლივ სცდილობენ გაუთანასწორონ რუსეთის სხვა განაპირა პროვინციებს. ფინლანდიის ხალხი ნათლად ჰხედავს, რომ მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება და ამიტომ, ივიწყებს რა დროებით სხვა და სხვა შინაურ უთანხმოებას, თან და თან უფრო მეტის ერთსულოვნებით იცავს თავის სამშობლოს თავისუფლებას. ხალხი ჰხედავს და ჰგრძნობს, რომ იმის ხელთ მხოლოდ ერთად ერთი საბრძოლი იარაღია—კანონიერ ფორმებში გამოხატული ერთსულოვანი აზრი, და ერთ ერთი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე ფინლანდიისა, სვინხუფვუდი, ჰპირდება ქვეყანას, ახლად დანიშნულ არჩევნებზე ყველგან ისევ ეხლანდელი დეპუტატები იქნებიან არჩეული, რისთვისაც ფინლანდიის ყველა პარტიები ერთს საარჩევნო კავშირს ადგენენ.

ვინც კი ოდნავ მაინც ადევნებდა თვალყურს უკანასკნელ წლებში ფინლანდიის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას, დარწმუნებული უნდა იყოს, სვინხუფვუდის დაპირება იმდენად მაინც აუცილებლივ გამართლდება, რომ მომავალი სეიმაც ისევე გადაჭრით იტყვის უარს ფინლანდიის კონსტიტუციის გამაუქმებელ კანონ-პროექტების განხილვაზე, როგორც აწ დათხოვნილმა სეიმმა განაცხადა. მაშინ ჯერი ისევ რუსეთის მთავრობაზე მიდგება; იმის წინაშე ხელახლა აღსდგება საკითხი: რად და როგორ დაიმორჩილოს კანონიერების ნიადაგზე გამაგრებული ფინლანდია, კიდევ და კიდევ დაითხოვოს სეიმი და ახალი არჩევნები დანიშნოს. თუ ძალას მიჰმართოს? თუ რუსეთის მთავრობამ ამ უკანასკნელ მარტივ, მაგრამ უსამართლო საშუალებას ეხლანდელივით გვერდი აუქცია, ჩვენ თვალწინ დამოუკიდებლობისათვის პატარა და უძლურ ქვეყანას სამაგალითო ბრძოლა გაჩაღდება კონსტიტუციონურ ფორმებში.

თავის თავად ცხადია, დიდის ხნით სეიმის უმოქმედობა გასაჭირ მდგომარეობაში ჩააყენებს ფინლანდიის ყველა დაწესებულებებს. უსეიმოდ ფინლანდია სახელმწიფო გადასახადების უმრავლესობას ვერ აჰკრეფავს, უამისოდ კი ხარჯების გაწევა გაძნელდება. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ფინლანდია იძულებული იქნება, რაიმე ახალ საშუალებას მიჰმართოს. აი სწორედ აქ გამოსჩნდება ერთის მხრივ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის მჭვრეტელობა, მეორეს მხრივ ხალხის პოლიტიკური თვით-ცნობიერება. თუ ხალხი შეგნებულად მოისურვებს, ამ გასაჭირის დასაძლევად კანონიერ საშუალების აღმოჩენა შეუძლებელი არ იქნება. ფინლანდიის საზოგადო მოღვაწეებს ხალხის პოლიტიკურ თვითცნობიერების სრული იმედი აქვთ. ჯერ ეს იმედი მათ არც ერთხელ არ გამტყუნებიათ და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, ფინლანდია ადვილად არც ამ სიძნელის წინაშე მოიხრის ქედს.

რევოლუცია პორტუგალიაში

(დეპეშებიდან)

ლონდონი. რეიტერის ცნობით სამეფო გემი „ვიქტორია და ალბერტი“ მეფის გეორგის ბრძანებით მიდის გიბრალტარში მეფის მანუელისა და დედოფლის ამელიის მოსაყვანად.

პარიზი. ჰავასს ატყობინებენ ლისაბონიდან, რომ ხმები უცხოეთისა და პორტუგალიის სამხედრო გემების წინააღმდეგ შეთქმულობის შესახებ უსაფუძვლოა, მაინც მთავრობამ სიფრთხილის ზომები მიიღო. სამოქალაქო მოხელენი დაეპატრონენ კონგრეგაციათა უძრავს მამულებს. მონარქისტული გაზეთები ხელ-ახლა გამოდის. მათი მიმართულება ზომიერია. ზოგიერთნი რესპუბლიკას აღიარებენ.

ლისაბონი. ბრაზილიამ აღიარა პორტუგალიის რესპუბლიკა.

ლონდონი. დედოფალმა ამელიამ დეპეშა დაუკრა ორლეანის ჰერცოგს, რომ გემის „ვიქტორია და ალბერტის“ მოსვლის შემდეგ, იგი მანუელ მეფითურთ ინგლისში გაემგზავრება და ჰერცოგის ვუდნორტონის სტუმართ მოყვარეობით ისარგებლებს.

თეოფილე ბრაგა.

პორტუგალიის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე თეოფილე ბრაგა დაიბადა 1843 წელს 24 თებერვალს აზორის კუნძულებზე.

იგი პორტუგალიაში ფრიად ცნობილი და განთქმული კაცია, როგორც მეცნიერი, პოეტი და მწერალი. 16 წლისა იყო ბრაგა, როდესაც თავის ლექსთა პირველი კრებული გამოსცა. მან კოიმბრის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი გაათავა. 1867 წელს მან დასწერა დისერტაცია: „პოეზია კანონმდებლობაში“, მისი ლექსები ხშირად ეხება სარწმუნოების საკითხებს. მას აქვს პოემა „დროთა მოჩვენებანი“, სადაც იგი ასურათებს ადამიანის ბედისწერას. მან დიდი სახელი მოიპოვა პორტუგალიის გარეშეც თავის თხზულებით „ისტორია ლიტერატურისა“ 1870 წლიდან მოკიდებული თეოფილ ბრაგა პორტუგალიის ლიტერატურის ისტორიაზე მუშაობდა და 32 ტომი კიდეც გამოსცა. ამის გარდა რამდენიმე სახელმძღვანელო და ხალხური თქმულებანი (ფოლკლორი) გამოსცა.

თეოფილ ბრაგა ოგუსტ კონტის მოძღვრების მომხრეა. იგი ახლაც აწარმოებს ჟურნალს „პოზიტივისმო“, სადაც კონტის პოზიტიურ მოძღვრებას იცავს

1872 წლიდან იგი პროფესორი იყო პორტუგალიის ლიტერატურის კათედრისა. ხოლო 1890 წლიდან კი სამეცნიერო აკადემიის წევრად ირიცხება.

რუსეთის გაზეთების აზრი პორტუგალიაზე.

პორტუგალიის რევოლუცია საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. რუსეთის პრესაც თავისებურად სჯის.

პეტერბურგის გაზეთები ცდილობენ ამოარკვიონ, თუ რამ გამოიწვია პორტუგალიის რევოლუცია.

„სოვრემენნოე სლოვო“ ამბობს: პორტუგალიის მეფეები მუდამ რეაქციონერ-კლერიკალების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ასეთი გავლენა დამღუპველი იყო, როგორც სამეფო გვარეულობისა, ისე ხალხისათვის, რომელსაც აუტანელ გადასახადებითა და მექრთამეობით სული ხდებოდა.

ქვეყანა ღატაკდებოდა, ხოლო ხაზინის მძარცველობა ფრთებს ისხამდა. მეფის ტახტი ცდილობდა თვითმპყრობელობის განმტკიცებას და მოურიდებლად გარეკდა ხოლმე პარლამენტს, როდესაც იგი არ ეთანხმებოდა მთავრობის მისწრაფებას. სწორედ ეს იყო მიზეზი რომ ხალხის გულში რესპუბლიკანური მისწრაფებანი ჩაისახა. რესპუბლიკა ჭეშმარიტად სანატრელი უნდა გამხდარიყო ხალხის თვალში. მით უფრო, რამდენადაც დუხჭირი იყო გაბატონებულ მთავრობის ძალმომრეობა.

„ნოვოიე ვრემია“ აღნიშნავს, რომ „ეკონომიურის მხრივ პორტუგალია უაღრესად უბედური ქვეყანაა.. ამ სიღატაკეს ხელი შეუწყო მთავრობის მიერ შემოღებულმა მფარველობითმა საბაჟო სისტემამ. სრული გაუგებრობა და თავგზის დაბნევა გამოიჩინა მთავრობამ..

და ბოლოს ხომ, რაღაც საოცნებო გზას დაადგა. „ქვეყნის გასამდიდრებლად“, მან განიზრახა მთელს სამეფოში მაგარ სასმელების მონოპოლია მოეწყო.

პოლიტიკაში კი პარლამენტის ანარქია იყო. დამშეული ხალხი, წარამარა სისხლის ღვრა და უაზრო მმართველობა,—აი, სათავე პორტუგალიის რევოლუციისა.

მემარჯვენე გაზეთებს უფრო უბრალოდ ესმით მიზეზი პორტუგალიის რევოლუციისა.

„ზემშჩინა“ ამბობს: რევოლუციას ხელი იმანაც შეუწყო, რომ მეფე მანუელი მეტად კეთილი კაციაო.

„ერთხელ მანუელმა სასახლის ფანჯრიდან დაინახა პატარა მათხოვარი ბიჭი, რომელიც ქუჩაში სიცივისაგან კანკალებდა. მეფე სირბილით ჩამოიჭრა ქუჩისაკენ.

— საით მიეშურებით, თქვენო აღმატებულებავ?—ჰკითხა ერთმა კამერგერმა.

— ჩემი წამოსასხამი მინდა მივცე იმ ბავშვს, სიცივისაგან რომ კანკალებსო—უპასუხა მეფემ“.

„ზემშჩინის“ აზრით, მეფის ასეთი საქციელი ყოველთვის წინამორბედია რევოლუციისა. რევოლუციას ხელი იმანაც შეუწყო, ამბობს „ზემშჩინა“, რომ მეფე მანუელი ინგლისელების მოყვარული იყო.

შავრაზმელთა **„კოლოკოლი“** ამბობს, რომ პორტუგალიის რევოლუცია, ეს—„ის სამწუხარო ამბავია, რაიც გაკვეთილად უნდა მიიჩნიონ იმათ, ვინც რევოლუციის ჩაქრობას დათმობის პოლიტიკითა და „თავისუფალ“ კონსტიტუციით ფიქრობენო.

დეპეშები

კავკ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 სექტემბერი.

საზღვარ-გარედ

პარიზი. რკინის გზის ყველა მოხელეთ ღამით დაადგინეს საყოველთაო გაფიცვა.

სტამბოლი. ალბანელთა ბელადებმა უსუფმა, ყარაბარასმა და სხვებმა შეჰკრიბეს მთებში დიბრის მახლობლად ათასი კაცი და სამხედრო სადგომებს თავს ესხმიან.

მონასტრის მეციხოვნეთა უფროსს დაევალა გაგზავნოს ცხრა ბატალიონი.

ოსმალეთსა და პატრიარქს შორის მოლაპარაკება თურ-ელინთა მესარიგებლად. სამხედრო მინისტრმა პატრიარქი ინახულა.

ურმია. დამთავრდა დეპეშის მავთულის გაყვანა ოსმალეთსა და სპარსეთის ციხის კალაპასოვს შორის, რომელიც თურქებმა საზღვარზე შეტაკების დროს დაიჭირეს. დეპეშა უკვე მუშაობს. კალაპახთა ტომი და სულდუზის მემამულენი სჩივიან თურქებისაგან მიყენებულს წარმოუდგენელს შევიწროებას და სთხოვენ მთავრობას დაიცვას ისინი, ან დაეხმაროს მათ სამუდამოდ გადასახლებას სულდუზიდან.

პარიზი. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ 1369 უფროსი და 27866 უმცროსი მოსამსახურე ჩრდილოეთის გზისა გაწვეულ იქნებიან 21 დღით სამხედრო სამსახურში.

ათინა. დრაგუმისის კაბინეტი სამსახურს თავს ანებებს. ჰფიქრობენ, რომ ვენიზელოსი თავს იდებს ახალ კაბინეტის შედგენას.

ლონდონი. მექვაბეთა წარმომადგენლები და გემთ-აღმშენებელ ქარხნების პატრონები შეთანხმდნენ რის წყალობითაც საზოგადო გაფიცვა გემთ-სააღმშენებლობაში მოისპო.

ბრემენი. ნავთსადგურის მუშები ხელ-ახლა სამუშაოდ გამოვიდნენ.

ბერლინი. უნივერსიტეტის ასის წლის დღესასწაულისაგამო იურიდიულმა იმპერატორს უბოძა დოქტორის დიპლომი honoris causa.

ვენა. დელეგაციების წინაშე წარდგენილი წითელი წიგნი შეიცავს 201 დიპლომატიურს დოკუმენტს 1908 წლის 3 სექტემბრიდან 1909 წლის 25 მაისამდე (ახალის სტილით), რომელიც შეეხება ანნექსიის აღიარებას, ავსტრო-უნგრეთის საქონელთა ბოიკოტსა ოსმალეთის მიერ, დიდ სახელმწიფოთა მოქმედებასა სერბიაში ომის თავიდან ასაცილებლად. დელეგაციებში შეტანილია ავსტრო-უნგრეთის ბიუჯეტი 1910 წ. ხარჯი ნაჩვენებია 423.459.600 კრონა. ჯარზე მიდის 336.570.667, წინანდელ წლისაზე 11.725.522 კრონით მეტი; ძველ გემთა შესაცვლელად და ახალთა ასაშენებლად, როგორც 1909 წელშიაც, თხოულობენ 20 მილიონს, ახალ საარტილერიო მოწყობილობისათვის—რვა მილიონს.

პარიზი. 28 სექტემბერს საღამოთი შესდგა ბანკეტი ვაჭრობისა და მრეწველების რესპუბლიკურ კომიტეტისა. 2500 მონაწილეთა შორის იყვნენ მინისტრთა უმეტესობა, პარლამენტის ბევრი მოღვაწე, სენატისა და პალატის პრეზიდენტები. ბრიანმა თავის სიტყვაში განსაკუთრებით აღნიშნა, რომ მთავრობის პოლიტიკა ემყარება ნამდვილს რესპუბლიკურს პრინციპებს, ამისათვის იგი ვერ მოითმენს, რომ მარჯვნიდან ავიწროებდნენ, თავის პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში იგი ყოველთვის მოქმედებდა სახელმწიფოს უფლებათა დასაცავად ეკლესიისაგან; იგი არწმუნებს პარლამენტსა და ქვეყანას, რომ მთავრობა შეუდრეკელად იდგება ამ აზრზე; ახლა უნდა გავათაოთ ახალი საქმე,—საარჩევნო რეფორმის გაყვანა, მოხელეთა წესდება, დეცენტრალიზაცია სასამართლოს წყობილებაში, გადასახადთა რეფორმა თანასწორობისა და სამართლიანობის ნიადაგზე,—მივსცეთ მუშებს საშუალება მღელვარე აგიტაციიდან გამოსასვლელად, რაიცა ყოველ წამს შიშსა ჰგვრის ქვეყანას და მთავრობას აიძულებს მიიღოს სასტიკი ღონისძიებანი; აგრეთვე მისცეს სინდიკატებს უფლებანი იურიდიულის პიროვნებისა.

ათინა. დრაგუმისის კაბინეტმა სამსახურს თავი დაანება.

პარიზი. ბრიანი შეთანხმდა მილერანსა და ბრენსთან, გაფიცვის გავრცელებისა გამო, მიიღოს შემდეგშიაც ზომები. შემდეგ ბრიანმა ითათბირა იუსტიციის მინისტრთან, გენერალ-პროკურორთან და პოლიციის უფროსთან უმთავრესად გაფიცვაში მონაწილეთა პასუხისმგებლობაზე შეხედულების გამოსარკვევად.

ფლენსბურგი. ისევ სრული გაფიცვაა გემთ აღმშენებელ ქარხნებში. გუშინ სამუშაოზე დამდგარ მუშათა ნახევარმა დღეს მუშაობას თავი დაანება.

ბერლინი. საფრანგეთის რკინის გზათა გაფიცვისა გამო ბილეთებს პარიზამდის მხოლოდ პირობით იძლევიან.

ვენა. დელეგაციათა სხდომა დაიწყო. უნგრელებმა თავმჯდომარედ ლანგი აირჩიეს, ავსტრიელებმა—გლომბინსკი. გრაფმა ბატტიანიმ დამოუკიდებლობის პარტიის სახელით მოითხოვა დელეგაციათა გაუქმება.

ბერლინი. Nonoris causa ს დოქტორებად არჩეულ იქმნენ: ღვთისმეტყველების ფაკულტეტის მიერ—პროფესორი გირგენსონი იურიევიდან, ფილოსოფიურის მიერ—დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე და აკადემიკოსი შახმატოვი, იურიდიულის მიერ—პროფესორი პავლე ვინოგრადოვი.

რ უ ს ე თ ი

ბრესტ-ლიტოვსკი. [illegible] სასტუმროს პატრონს რაკოვს ყოველივე ღირსება აჰხადა და რვა თვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა. რაკოვს აბრალებდნენ, რომ მან დაჰფარა ქალაქის კასირი გრეგორევსკი, რომელმაც გაიტაცა 131,000 მანათი. დანარჩენი ბრალდებულნი სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა მიწერილობა დაუგზავნა გუბერნატორებსა ოლქისა და ქალაქის უფროსებს, რომ იმ გუბერნიებისა, თუ ოლქები, სადაც 1910 წელს ხოლერა იყო, თუნდა ახლა ამ მხრივ საშიშანი აღარ იყვნენ, სასანიტარო კომისიები მაინც დარჩებიან რათა ამსახით თავიდან აეცილებინათ ხოლერის განახლებათ.

კოვნა. მარიამპოლში ხიდზე მოსამსახურე ჯარის კაცმა „დენშჩიკმა“ სასიკვდილოდ დასჭრა ჯარის უფროსი, რომელიც ერთი საათის შემდეგ გარდაიცვალა. მკვლელობის მიზეზი პირადი შურისძიება ყოფილა.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრს უმაღლესად ნება დართეს საზღვარგარედ წასვლისა, მის მოვალეობას ასრულებს მინისტრის ამხანაგი ვებერი.

ფინლანდია

23 სექტემბერს რუსეთის სენატმა განიხილა გენერალ-გუბერნატორის მოხსენება, რომ ნიულანდიის, ვიბორგისა და ტავასტგუზის გუბერნიებში საჭიროა ჯარისათვის მიწები მიუზომონ. სენატმა დაადგინა, ეუწყოს გუბერნატორებს უმაღლესი დადგენილება, რათა მათ სისრულეში მოიყვანონ ეს საქმე და ჯარისათვის უწყებულ გუბერნიებში მიწები მოითხოვონ და ჩაიბარონ.

სენატის ფინლანდიის პროკურორმა კი განაცხადა, რომ ჯარისათვის მიწების ჩამორთმევა არ ეთანხმება 1898 წლის დებულებას და ამ საქმის თაობაზე უსათუოდ მეფეს უნდა წარედგინოს მოხსენება, რადგანაც არ შეიძლება იმ კანონის გადალახვა, რომელიც ამ ხანად ჯერ ისევ ძალაშია.

ფინლანდიის გაზეთები ბეჯითად უარსა ჰყოფენ იმ ცნობებს, რომელთაც რეიტერის სააგენტო ფინლანდიის შესახებ ავრცელებს ინგლისის გაზეთების საშუალებით. ფინლანდიის გაზეთები სთხოვენ მკითხველებს, ამ ცნობებს ნუ ენდობითო.

მსახური ეკლესიისა

16

მიდიოდა დრო დაუსრულებელი. მისდევდა ერთმანეთს და ენაცვლებოდა წამი წამს, საათი საათს, დღე ღამეს, წელიწადი წელიწადს. ჟამთა განუწყვეტელ და შეუფერხებელ სრბოლას მიჰყვებოდა თან ქმნილებათა განუსაზღვრელ—აღურიცხავი სიმრავლე რიგი რიგზე, გუნდი გუნდზე, ტალღა ტალღე.

არსებათა უთვალავი სიმრავლე იღებდა განსაზღვრილ სახეს მიუწვდომელ და საიდუმლო ოკეანში დასაბამისა, ხოლო იშლებოდა, ჰკარგავდა თავის სახეს განსაზღვრილს და დაინთქმებოდა მიუწდომელ, წყვდიად და საიდუმლოვე ოკეანში დასასრულისა. და დაინთქმებოდა ყოველივე არსება არა მისთვის, რომ მოსპობილიყო იგი საბოლოვოდ, განქარვებულიყო საუკუნოდ, არამედ იმისთვის, რომ განეცადა დაუსრულებელ დროთა ბრუნვაში საიდუმლო ცვლილებანი მრავალგვარნი და კვლავ მიეღო განსაზღვრულივე სახე თვისის არსებობისა, კვლავ აღმოჩენილიყო წყვდიადიდან, წარმოშობილიყო საარსებოდ, ხოლო უფრო განვითარებული და კეთილქმნილი.

მიგრაგნებოდა დრო დაუსრულებელი და წარსულთა ჟამთა სიმრავლე ტვირთად მძიმედ უმძიმდებოდა იაკობს: წელში გაიხარა მოძღვარი, მთა დაუთოვლა მას, წინსქვრილები დაუღდა. აქამდის თუ კვერთხს მაშინ იღებდა ხელში, როცა ჩაიცვამდა ანაფორას, დაიხურავდა კალმუხის წოწოლა ქუდს, შედგებოდა ქოშებზე და ვიდოდა მსახურებად ღვთისად და მწყსად ცხოველთა მათ მეტყველთა; ეხლა არგანი განუშორებელი თანამგზავრი იყო მისი, რადგან მიწა უკვე ძლიერად იზიდავდა მას თავისკენ და ხელისაბყრობა ეჭირებოდა. იაკობ მღვდელს და მის თანამეცხედრეს პირი დაუსრულებელ წარსულისკენ მიექციათ, რომლის დაუცხრომელ მიმდინარეობას მრავალი მათი მეგობარი და თანაზრდილი წარეტაცნა. კვეთის დროს თითქმის მთელ სეფისკვერს ნაწილებად ამოიღებდა ხოლმე ნათესაობაში თუ მრევლში მოსპობილ წევრთა მოსახსენებლად.

— მოიხსენე, უფალო, მონა შენი ივანე! — ჩურჩულებდა იაკობ მღვდელი სამკვეთლოსთან და ეშლებოდა ფიქრი-ფიქრზე:—რა ჰკვიანი კაცი იყო! სოფლის თვალი იყო და სიამაყე, მის დაუკითხავად ხალხში არაფერი არ გაკეთებულა. მოიხსენე, უფალო, მონა შენი ვარდენი. საწყალი! ერთად ვისხედით ხოლმე გუთანზე. ძალიან ხელღონიერი ბიჭი დადგა; სოფლის მასახელებელი იყო ჭიდაობით. მოიხსენე, უფალო, მხევალი შენი მელანია! სადა ხარ, საწყალო?... რამდენჯერ მომიტანია მისთვის ჯიბით ვაშლი თუ მსხალი, როდესაც მამაჩემს დავდევდი დიაკვნის მაგივრად. ახ, რანაირად გვიყვარდა ერთმანეთი!—და სამკვეთლოდან მოხუცი მოძღვარი თვალცრემლიანი ბრუნდებოდა ტრაპეზისაკენ.

მიექანებოდა დრო და მიჰქონდა თან იაკობ მღვდლის ძალ-ღონე. ულმობელი სიბერე ჩასჭიდებოდა მას და თან და თან მძლავრად ჰღუნავდა მას მიწისაკენ. აგერ თავის მარჯვენას კანკალიც შეეტყო ბარძიმის აღების დროს, თავის ძლიერ მარჯვენას...

— მოვხუცდი ვედრებასა შინა ღვთისა ჩემისა! ვმადლობ უფალსა, რომელმან ღირს მყვა მსახურებად თვისად და წელთა მრავალთა. ჩვენს გვარში ტრიალებს მადლი უფლისა და იგი არ გამოგვწირავს მადლობას. ჩემი შვილი აბრამი სწორედ ღირსია მიეახლოს ტრაპეზს წმინდას: მორწმუნე კაცი დადგა და მშრომელი; ეკკლესიას არ დააკლებს თავის წესს და ხალხსაც ჩემ შემდეგ არ შეუმძიმებს ტვირთს, ძვირად არ დაუსვამს ღვთის ვედრებას. დროა აწ გარდმოვიდეს მასზე მადლი სულისა წმინდისა, შეიმოსოს სამოსელი მღვდლისა, ვითარცა ნათელი და აღიღოს კვერთხი მწყსად, ფიქრობდა ჟამითი ჟამად იაკობ მღვდელი და ჯერ არვის უზიარებდა თავის ფიქრებს.

მეტი გზა კი აღარ იყო: უნდა ეთქვა სათქმელი, რადა გაეზიარებინა ვისთვისმე თვისი ფიქრი, რადგან იგი ფიქრი ყოველთვის თანასდევდა მას და თავს ევლებოდა.

— მართა, ქალო! მომისმინე, დაჯექი და კარგად დამიგდე ყური, მიმართა იაკობმა მეუღლეს. დროა ვაკურთხებინოთ ჩვენი აბრამი ჩემ მაგივრად. განსვენებული მამა ჩემიც ჩემს ხანში იყო, როდესაც მაკურთხებანა და გადმომცა ეკკლესია. მე კი ისევ ჭაბუკი ვიყავ მაშინ, მე ხომ სიყრმის შვილი არა ვარ. მცირედ ჟამს და იცოცხლა მას შემდეგ საწყალმა! დროა განსვლისა!

მართას ფერმა გადაჰკრა, როგორღაც ჩაიფუფქა ის ადგილობრივ და ისე შეაჩერდა თავის მოხუც მღვდელს, თითქო მხოლოდ ეხლა შენიშნა მისი სიბერეო.

— რას შეკრთი, ქალო? განა მართლა მთლად მოვხუცდი! ჯერ არც ისე ცუდად არის საქმე, შენ რომ გგონია, გაეხუმრა მეუღლე.

მართას სიწითლე მოერია მიმკრთალებულ-მინაოჭებულ სახეზე და გაიღიმა.

— გული როგორღაც შემეკუმშა უეცრად, თორემ მეც რავდენჯერ მომივიდა ეგეთი ფიქრი. მართლა და დროა დაუთმოთ ჩვენი ადგილი ჩვენ შვილ-რძალს. ოჯახი არ დაქვეითდება ამით, არაფერიც არ შეეტყობა: ასეთი ღვთის შვილი ადამიანია ჩვენი რძალი, რომ სახლს ჩემზედ მარჯვედ და კეთილად წარმართავს.

— არა, შენოდნობას კი ვერ გასწევს ჩვენი ლიზა,—სად შეუძლიან! —მაგრამ დალოცვილი დედაკაცია და მაგის ხელშიაც ნაკურთხი იქნება ჩვენი ოჯახი.

დაასკვნეს განუზიარონ თავიანთი ჰაზრი შვილსა და რძალს, შემზადონ ყოველივე და შემოდგომაზე აკურთხონ აბრამი.

— ვაკურთხებინოთ, ვაკურთხებინოთ, ღმერთო, შენით! ჩვენის თვალითა ვნახოთ ჩვენის შვილის ბედნიერება.

ნაღველის რამ მუქი ბურუსი გადაეფარა მათ გულს და სდუმდნენ: თუმცა სასიხარულო მათთვის შვილის ბედნიერება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მაინც უჩინარ დარდებს უშლიდა მათ: თითქო მათ ეს ნაბიჯი უახლოვებდა იმ საიდუმლო ბჭეს, რომლის იქით გაშლილია საიქიო, ეს წყვდიადით მოსილი და განუჭვრეტელი მხარე.

17.

რამდენიმე დღის შემდეგ იაკობ მღვდელმა განუზიარა თავისი ჰაზრი თავის შვილს. იმან ჯერ იუცხოვა ეს, მაგრამ მერე დათანხმდა, როდესაც მოიფიქრა, რომ ეხლა უფრო მარჯვე დრო იყო და ადვილი მოსახერხებელი მისი მღვდლად კურთხევა: თანდათან ძნელდებოდა სასწავლებელში გამოუვლელთათვის მღვდლობის მიღება და მეჯი დაყენება სახიფათო იყო.

შეატყობინეს თავიანთ განზრახვა მრევლსაც. სოფელში ამ ახალმა ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა არ გამოიწვია: ეტყობოდა იმაშიც ეტრიალნა ამ ფიქრს, თუმცა ყრუდ და გაურკვევლად. მრევლი კარგადა ხედავდა, რომ აბრამიც სწორედ შესაფერი მოძღვარი იქნებოდა მათთვის, რადგან იმათივე კაცი იყო ის, მათი მოძმე ჭირში თუ ლხინში. და როცა მღვდლად ეკურთხებოდა, შეიქმნებოდა მხოლოდ უხუცესი მათ შორის, მოძღვარი და მამა მათი სულიერი, მწყემსი კეთილი და არა მგელი მოსისხლე და მტაცებელი. ცოტას ხანს ჩაფიქრებული და ჩაჩუმებული სოფელი აყაყანდა, ახმაურდა და განაცხადა, რომ მამა იაკობის ფიქრი კეთილი იყო, სასარგებლო და შესაწყნარებელი. მხოლოდ ერთმა იკითხა:

— მამაო იაკობ! ახლა ე ჩვენი დიაკვანი აბრამი რომ ეკურთხება მღვდლად, შენც ისევ გექნება ნება სწირო ხოლმე, ან სახლი გვიკურთხო?

იაკობს გაეღიმა ამ გულუბრყვილო კითხვაზე და მიუგო:

— კაცო, ეხლა ამ შენს შვილს ვარსიმეს რომ უჭირავს გუთანი შენს მაგივრად, განა შენ აღარა გაქვს ნება მოჰკიდო მას ხელი ხანდისხან, თუ კი სურვილი გექნება ან გაჭირება? გუთანი ხომ მარტო იმისთვის დაუთმე შენს შვილს, რომ ეხლა ეგ შენზედ უფრო ხელ-ღონიერია და მარჯვე.

— ჰაი, ჰაი ღონიერია და მარჯვე! მაგრამ მაგის ხანში კი მე ვსჯობდი მაგას. სიბერეს რა უთხრას კაცმა, თორემ ვინ წამიდგებოდა წინ...

— ჰო და აბრამის ხანში მეც ყოჩაღი მოძღვარი ვიყავი და დაუზარელი, მაგრამ ეხლა მოვხუცდი და მინდა ჩემს ადგილას ჩემი შვილი ჩავაყენო. ეკკლესიას კი სიკვდილამდინ ვერ მოვშორდები: ვილოცავ და ვსწირავ თქვენ სადღეგრძელოდ, და თქვენ მიცვალებულთა მოსახსენელად.

მარჯვედ დატრიალდა საქმე: ბლაღოჩინს გამოსაძიებელი საქმე გაუჩნდა მახლობელ სოფელში, ამობრძანდა ქალაქიდან და იაკობ მღვდლისას შეიარა გზაზა. მღვდელმა მოახსენა მას თავისი გულის წადილი

ამ წლის 2 ოქტომბერს (ახალის სტილით), გადასწყვიტეს, უმაღლესს მოხელეებს, რომლებიც ფინლანდიაში მსახურებენ, ჯამაგირები მოუმატონ.

სენატის თავმჯდომარის ამხანაგს დაენიშნა 30 ათასი მარკა წელიწადში; ამ რიცხვში 15 ათასი მარკა ძირითადი ჯამაგირია, ხოლო 15 ათასი მარკა ზედ-მეტადაა დანიშნული.

სენატორებს დაენიშნათ 12 ათასი მარკა ძირითადი ჯამაგირი და 14 ათასი მარკაც—ზედ-მეტიდ აბოსა, ვიბორგისა და ნიულანდიის გუბერნატორებს დაენიშნათ 10 ათასი ძირითადი და 14 ათასი მარკა ზედმეტი ჯამაგირი. სხვა გუბერნიების გუბერნატორებს 10 ათასი მარკა ძირითადი, ხოლო 12 ათასი მარკა ზედ-მეტი.

როგორც ამბობენ, მომავალ მორიგ სხდომაზე, სეიმი განიხილავს იმ საკითხს, რომ ფინლანდიის საკრედიტო საზოგადოებას უფლება მიენიჭოს, რათა მას შეეძლოს უცხოეთის სახელმწიფოებში სესხი აიღოს.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **მცხეთობა.** დღეს მცხეთაში სწირავს საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი. დღესასწაულის გამო ტფილისსა და მცხეთას შუა რამდენიმე საგანგებო მატარებელი დაინიშნა.

◆ **ფრენა.** თ. დოლიძეს ავიატორმა კუზნეცოვმა დეპეშით აცნობა, რომ ტფილისში ჩამოვალ იმ პირობით, თუ თითო გაფრენაში 2.000 მანეთს მომცემთო.

◆ **ხოლერა ტფილისში.** პოლიციის ცნობით, 29 სექტემბერს ტფილისში ხოლერით ავად არავინ გამხდარა.

◆ **ოსური სკოლა.** ტფ. სახალხო უნივერსიტეტის ოსურმა სექციამ ავჭალის ქუჩაზე გახსნა წერა-კითხვის სკოლა, სადაც ჯერ-ჯერობით მხოლოდ ორი კლასია. პირველ კლასში მასწავლებელი მოწვეულ იქმნა ფასით, ხოლო მეორე კლასის მასწავლებელი სექციას შრომას უფასოდ შეჰპირდა. სწავლა იწყება დილის 9 საათზე და თავდება სალამოს 9 საათზე.

◆ **ტფ. ქალაქის გამგეობაში.** ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისია შეეკითხა ქალაქის გამგეობას, რომელ ბანკში ინახება უკანასკნელ სესხის დროს დარჩენილი ფული, რამდენი ხნით არის შეტანილი და ან რა სარგებელი გეძლევათო.

◆ **სამკურნალო საზოგადოებაში.** დღეს სამკურნალო საზოგადოების კრებაზე, ექიმი ისტამანოვი და თეთრაძე დამსწრეთ აჩვენებენ ათიანგით ავადმყოფებს, რომელთაც ერლიხის „606“-ით სწამლობენ.

◆ **ტფ. საზოგადო კლუბში.** ხვალ, 2 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე ა. ბ. ევანგულოვი წაიკითხავს რეფერატს იალბუზსა და სვანეთში მოგზაურობის შესახებ. გაიმართება აგრედვე სალიტერატურო და სამუსიკო განყოფილება.

◆ **ხოლერა ამიერ-კავკასიაში.** ერევანში: 23-დან 25 სექტემბრამდე ხოლერით ავად არავინ გამხდარა. 26 გარდაიცვალა—1. ერევნის გუბერნიაში (დამატებით) 23 და 24 სექტემბერს ავად გახდა—8, გარდაიცვალა—5. დაღესტნის ოლქში: 22-დან 27 სექტემბრამდე ავად გახდა—3, გარდაიცვალა—2; დამატებით: 17 სექტემბერს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1. ბაქოს გუბერნიაში: 2-დან 25 სექტემბრამდე ავად გახდა 10, გარდაიცვალა—5; დამატებით: 17-დან 22 სექტემბრამდე ავად გახდა 18. გარდაიცვალა 18.

◆ **მომღერალთა საზოგადოება „სანათური“.** ამ დღეებში მოჰხდა ტფილისში ახლად დაარსებულ საზოგადოების „სანთური“-ს გამგეობის წევრთა კრება. კრებაზე გამგეობის თავჯდომარედ დროებით არჩეულ იქმნა ი. გ. კარგარეთელი, ხაზინადარად მღვდელი ნ. თალაკვაძე და მდივნად—მ. ი. კავსაძე. ამის შემდეგ გამგეობამ მსჯელობა იქონია იმის შესახებ, რომ 26 დეკემბერს სრულდება 25 წელიწადი მას შემდეგ, რაც განსვენებულ ლადო აღნიაშვილის მეთაურობით ქართველ მომღერალთა გუნდმა პირველად გამართა ტფილისში ქართული კონცერტი. ამის გამო გამგეობამ დაადგინა, 26 დეკემბერს დილით ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადაიხადოს პანაშვიდი ლადო აღნიაშვილის სულის მოსახსენებლად, ხოლო ამავ დღეს საღამოთი გამართოს ქართული კონცერტი იმავ პროგრამით, როგორითაც გაიმართა 25 წლის წინად. კონცერტში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქმნებიან: ი. ი. რატილი და სხვა პირნი, რომელნიც ლ. აღნიაშვილის გუნდში იყვნენ.

◆ **თავის მოკვლის განზრახვა.** 29 სექტემბერს ტფილისში საწამლავი დალია თავის მოკვლის განზრახვით ანნა ავქსენტის ასულმა გერასიმენკოვისამ. მოწამლული საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ **ლექცია.** 6 ოქტომბერს სახალხო სახლში დ. ხართიშვილი წაიკითხავს ლექციას ისეთ მანქანის გამოგონების შესახებ, რომელიც იმუშავებს დედამიწის მიმზიდველობის (სიმძიმის) ზედგავლენით სხვა გარეშე ძალის დაუხმარებლად.

◆ **ფუნიკულერი.** დღეიდან ტფილისის ფუნიკულერის მოძრაობა დაიწყება დილის 11 საათზე და გასტანს საღამოს 7 საათამდე.

◆ **ხოლერიანთა რიცხვი ტფილისში.** ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 26 სექტემბრის დილის 9 საათიდან 30 სექტემბრის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 1 კაცი. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 6 ავადმყოფი, მოემატა—1, არის—6.

◆ **ზელიმხანის მუქარა.** როგორც გუშინ გვქონდა მოხსენებული, ინგუშთა სოფლებს ორის კვირის ვადა მიეცათ ცნობილ ყაჩაღის ზელიმხანის გასაცემად. ადმინისტრაციას ახლა გადაუწყვეტია, თუ ზელიმხანი იარაღს არ დაჰყრის, მისი ცოლშვილი შუა რუსეთში გადაასახლოს. ზელიმხანი თურმე არამცთუ არ აპირებს იარაღის დაყრას, პირიქით განუზრახავს შური იძიოს ცოლშვილის დაპატიმრების გამო. მას გადაუწყვეტია ქალიშვილი მოსტაცოს ოლქის უფროსს, გენერალ მიხეევს და შესაფერი მუქარაც გაუგზავნია.

◆ **საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** ხვალ, 2 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს სადგომში ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივი კრება მოჰხდება. წაკითხულ იქმნება რეფერატები: ბ-ნ აბულაძის მიერ—„გაუგებარი სიტყვები ვეფხის-ტყაოსანში“ და ს. კაკაბაძის მიერ „როდის გარდაიცვალა თამარ მეფე“. კრებაზე დასწრება გარეშე პირთაც შეუძლიათ.

◆ **ტფ. ქართულს გიმნაზიაში.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ქართულ გიმნაზიის მასწავლებელი ბ-ნი გოგიტაძე კი არ დაუთხოვიათ თანამდებობიდან, როგორც ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, არამედ დროებით სხვაგან წასულა დასასვენებლად.

◆ **სასულიერო ღირსების აყრა.** სომეხთა კათალიკოსის განკარგულებით, მოკლე ხანში სასულიერო ღირსება აუყრიათ 11 მღვდლისთვისა, 2 არქიმანდრიტისა და 2 მთავარ-დიაკონისთვისა. ამას გარდა თავის სურვილით ღირსება აჰყრია 3 არქიმანდრიტს.

◆ **ახალი გადასახადი.** ტფ. ქალაქის საბჭოს მდივანმა მ. ა. ჯაბარმა უკვე შეადგინა და ამ დღეებში ქალაქის საბჭოს წარედგინება განსახილველად ვრცელი მოხსენება იმის შესახებ, რომ ტფილისში სახლის დამქირავებლებზე დაწესდეს განსაკუთრებული გადასახადი ქალაქის თვით-მართველობის სასარგებლოდ.

◆ **ახალი ბიბლიოთეკა.** 2 ოქტომბერს კავკასიის სამოსწავლო ოლქის ცენტრალურ საპედაგოგიო მუზეუმთან გაიხსნება წიგნთსაცავ-სამკითხველო. სამკითხველოში წიგნებით სარგებლობა უფასოდ შეეძლება ყველას, ვისაც საპედაგოგიო საკითხები აინტერესებს. სამკითხველო მოთავსებული იქნება ტფ. საოსტატო ინსტიტუტის სადგომში.

◆ მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის ახალი პიესა „სიმახინჯე“. წარმოდგენა მეტად საინტერესოა მით, რომ მასში მონაწილეობას იღებენ სულ ახალგაზდა მსახიობები ქართულ თეატრისა. სონას როლს ასრულებს ახალგაზდა მსახიობი ქალი ა. დოლიძე, რომელმაც მაისის სადებიუტო წარმოდგენაში მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. დანარჩენი როლები განაწილებულია ქ-ნ ჯავახიშვილისა და ბ. შალიკაშვილის, ზარდალიშვილის, მდივანის და სხვა ახალგაზდა მსახიობთა შორის პიესას რეჟისორობს ვ. შალიკაშვილი.

◆ 29 სექტემბერს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო 17 უპასპორტო.

განხეთქილება

„ზაკავკაზიის“ რედაქციაში

გაზეთ „ზაკავკაზიეს“ გამომცემლებისა და რედაქციის შუა განხეთქილება მოხდა. რედაქტორად ნამყოფმა ბ. რუტკოვსკიმ თითონვე აცნობა ეს ამბავი გაზეთის მკითხველებს და თან გამოაცხადა, დღეიდან ამ გაზეთის რედაქტორი აღარა ვარო. ამ განხეთქილებას ცოტაოდენი საზოგადოებრივი ხასიათი აქვს და ამიტომ ჩვენ გვინდა ცოტა ხნით ამ საგანზე მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ.

ბ-ნ რუტკოვსკის წერილიდან ირკვევა, რომ გაზეთი „ზაკავკაზიე“ გამომცემელთა ერთი ჯგუფის საკუთრება ყოფილა. ამ ჯგუფში ყოფილან: თავადები გ. ა. ბაგრატიონ-დავიდოვი, დ. ე. ჩოლოყაშვილი, დ. ფავლენიშვილი, მ. ვ. მაჩაბელი, დ. ა. გურამიშვილი და სხვები. ამ ცნობას არ უარყოფს საპასუხო წერილში „ზაკავკაზიეს“ ახალი რედაქტორი მ. მაჩაბელი. ქართველი საზოგადოება ყველა ზემოხსენებულ სახელებს საკმაოდ კარგად იცნობს. ამ პირებს ფრიად საპატიო ადგილი უკავიათ მაღალს საზოგადოებაში და თვალსაჩინო როლსაც თამაშობენ ქართულ ცხოვრებაში. საკმაოა მოვიგონოთ, რომ თავ. ბაგრატიონ-დავიდოვი თავად-აზნაურობის საგუბერნიო მარშალია, ჩოლოყაშვილი წინად სიღნაღის სამაზრო მარშალი იყო, ახლა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის თავმჯდომარეა, ფავლენიშვილი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დირექტორია, მაჩაბელი ბანკის და თავად-აზნაურობის საქმეებზე დიდ გავლენის მქონე საზოგადო მოღვაწეა, გურამიშვილი დუშეთის სამაზრო მარშალია და სხვა. როგორც შემდეგში რუტკოვსკის წერილიდან ირკვევა, გამომცემლების ამ ჯგუფს მიუნიჭებიათ იმისთვის, როგორც რედაქტორისთვის, სრული თავისუფლება მოქმედებისა და გაზეთის გაძღოლა თანახმად საკუთრივ რუტკოვსკის რწმენისა და მიმართულებისა, მაგრამ ერთი თვეც არ გასულა შეთანხმების შემდეგ, რომ გამომცემლებს უცდიათ, გავლენა მიეხდინათ გაზეთის მიმართულებაზე. ბ-ნ რუტკოვსკის და მის მიერ მოწვეულ თანამშრომლებს ამის შემდეგ შეუძლებლად დაუნახავთ ამ გაზეთში მუშაობა და ამიტომ გუშინდლიდან თავიც დაუნებებიათ მისთვის.

არსებითად ამ ფაქტებს ადასტურებს „ზაკავკაზიეს“ ახალი რედაქციაც; იგი ამასთანავე განმარტავს, რას ითხოვდნენ გამომცემლები ძველ რედაქტორების და თანამშრომლებისაგან; ახალ რედაქტორის სიტყვით მხოლოდ იმას, რასაც მოითხოვს გაზეთისაგან ყოველი მკითხველი: შინაარსიანობას, თავისუფალ შრომის ცვალს, მაკრატლის ნაკლებ ხმარებას და უფრო კალმისა და საწერლის მომარჯვებას, უმთავრესად ადგილობრივ საკითხების კვლევა-ძიებას და ნაკლებ ყურადღებას ისეთ მორეულ ქვეყნების საქმეებისთვის, როგორც ფინლანდია, ირლანდია და სხვა; ერთი სიტყვით გამომცემლები მხოლოდ იმას თხოულობდნენ, რომ „გაზეთი ცოცხალი, საინტერესო, საქმიანი და სიმართლის მოყვარე ყოფილიყო“.

როგორც აქედან სჩანს, გამომცემლების და რედაქციის ურთიერთობა თავიდანვე ყოველმხრივ საკმაოდ გამორკვეული ყოფილა, ერთის გარდა, სახელდობრ გაზეთის მიმართულებისა. ხელშეკრულებაში ისეთ გამოურკვეველ ცნების შეტანა, როგორიც ბ-ნ რუტკოვსკის რწმენა და მიმართულებაა, და ამ ტერმინით განსაზღვრა გაზეთის მიმართულებისა, რა თქმა უნდა, ადვილად გამოიწვევდა უთანხმოებას. გამომცემლები თავ. ბაგრატიონ-დავიდოვი, მ. ვ. მაჩაბელი და სხვანი იმდენად ცნობილ საზოგადოებრივ ჯგუფს ეკუთვნიან, იმდენად ნათლად გამოხატულ საზოგადოებრივ ხასიათს ატარებენ, რომ ბ-ნ რუტკოვსკის და მის თანამშრომლებისთვის წინადვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რისთვის კისრულობენ ისინი გაზეთის გამოცემას. მეტის მეტი გულუბრყვილობაა, თუ რუტკოვსკის და მის თანამშრომლებს ეგონათ, ხარჯს გამომცემლები გასწევენ და ჩვენ კი თავისუფლად ჩვენს აზრებს ვქადაგებთო. ცხადია, გამომცემლებს ლიტერატორების დაქირავება სწადდათ თავის საკუთარ მიმართულების გასატარებლად, მაგრამ ეთავაზებოდათ პირდაპირ ეთქვათ ეს და ამიტომ დასთანხმდნენ ბ-ნ რუტკოვსკის წინადადებას. ალბად გამომცემლებს იმედი ჰქონდათ, რომ თვით მდგომარეობა დაქირავებულ ლიტერატორისა აიძულებდა ბ-ნ რუტკოვსკის, ყური მახვილად დაეჭირა და გამომცემლობის აზრები გაეტარებინა გაზეთში. მეორეს მხრივ შესაძლებელია, ბ-ნ რუტკოვსკის თავისი ფიზიონომია იმდენად გამორკვეულად მიაჩნდეს, რომ ზემოხსენებული შეთანხმება გაზეთის მიმართულებაზე მას სუბიექტიურად საკმაოდ მოსჩვენებოდა, ასეთი გა-

---

და სთხოვა გზის ჩვენება და დახმარება. ჩაფიქრდა მოძღვართ უხუცესი.

— მთავრობა სწავლა დამთავრებულს აძლევს უპირატესობას, თხოულობს ისინი წარვადგინოთ. რასაკვირველია განვითარებული ადამიანი სჯობია, მაგრამ როგორ უნდა მოთავსდნენ ერთანეთთან მრევლი და იგი განათლებული, როცა მათ შორის აღარაფერია საერთო?! მათ აღარ იციან ხალხის ენა, ხოლო მათგან წაკითხული საეკკლესიო წიგნი გმობაა ღვთისა და შეურაცხყოფა ენისა; მათ დავიწყებული აქვთ ხალხის ზნე-ჩვეულება და ობუჩად აგდებული; მათი სამღთო მსახურება არ არის რწმენაზე დამყარებული და გარეწარია; მათ არ უყვართ მიწა, თითონ არ ამოაქვთ საზრდო დედამიწის სიუხვიდან და მთელი თვისი სიმძიმით დასწოლიან სოფელს. ფესვები არა აქვთ გადადგმული ნიადაგში. მათი ხომალდი მარად აფრა გაშლილი სდგას, ყოველ ჟამს მზაა გაწეროს მრევლს და მიაშუროს უფრო ფართე და ღრმა ნავთსაყუდელს. ეჰ, მოძღვრად განმზადებული და ხალხი ერთ ნიადაგზე უნდა განვითარებულიყო, რომ განმტკიცებულიყო მათ შორის ერთობა და სიყვარული და კეთილად წარმართულიყო დაობლებულ ეკკლესიის მსვლელობა... გარნა ვინ შესცვალოს გზა განგებისა ანუ ვინ წინააღუდგეს მას?!

იაკობ მღვდელი შეჰყურებდა მოძღვართუხუცესს და ვერ გაეგო, რატომ მაშინვე არ მიიღო მან მისი ჰაზრი, ან რომ დაფიქრდა იგი ესე ღრმად. ეჭვი შეეპარა: ეგონა იმისთვის ჰყოვნიდა მოძღვართუხუცესი და არას ამბობდა, რომ გასამრჯელოს გამოელოდა რასმე.

— მამაო ბლაღოჩინო! გთხოვთ მოაგვაროთ ეს საქმე და ხელი აღმიპყრათ სიბერეში. თქვენ ისეც ყოველთვის შემწე ბრძანდებოდით ჩვენი და მფარველი, მე კი თქვენ წინაშე არავითარი პატივი არ მიმიძღვის. გთხოვთ დაივალოთ და ნება მომცეთ სიკეთე გარდაგიხადოთ!

— რასა ბძანებ მაგას, მოძღვარო! მე ისეც პატივცემული ვარ თქვენგან და მადლობელი...

ჩემთვის ძვირფასია და დიდად სასიამოვნოა, რომ ერთობა გაქვთ მრევლთან და კეთილგანწყობილება. დარწმუნებული ვარ, რომ აბრამიც არ მიშლის ამ სიყვარულს, ბრძანა ბლაღოჩინმა და მიჰმართა აბრამ დიაკვანს, რომელმაც ის იყო ცივი წყალი მოართო მას:

— აი გაკურთხოს ღმერთმა და შენს მღვდლობას შეგვასწროს!

დიაკვანს სიხარულის ალმა აჰკრა. რამდენიმე გაშეშებული იდგა ყბა გახლეჩილი. მერე მოეგო თავს და მოწიწებით ემთხვია ხელზე თავის უფროსს და კეთილისმყოფელს.

18

მზე იდგა აქამდისინ იაკობ მღვდლის კარს და განათებული იყო მისი ეზო-ყურე; წყნარი სიხარული დასტრიალებდა მის ოჯახს და კეთილყოფილება. იყო მის კარსაც მარცხი, აღრეულობა; სიკვდილმა კი შეიხედა ერთხელ მისას და წარტაცა ყრმა ჩჩვილი, გარნა იგი რყევანი მის ცხოვრების გზაზე არ იყვნენ ისეთი ძლიერნი, რომ დაელეწათ ხომალდი მისის სიცოცხლისა და დაენთქათ იგი: ჯერ ახალგაზრდა იყო ის მაშინ, ძალღონით და იმედებით სავსე, ცხოვრების გზა ჯერ ნახევარიც არა ჰქონდა გავლილი და მხნედ მიაბიჯებდა. არ ეშინოდა შემთხვევითი რყევასა: ხელთ ეჭირა საჭე რწმენისა და მწედ ჰყვანდა ღმერთი ძლიერი, რაღა შეეშინდებოდა მას?!

ეხლა იაკობს უკვე გავლილი ჰქონდა გზანი ცხოვრებისანი, მზად იყო განხმულიყვნენ მის წინაშე ბჭენი საუკუნენი და იგი უკვე ესალმებოდა ამ წუთის სოფელს. სევდის მომგვრელი ხანი იყო ეს. მაინც გულსამსედ მიემართებოდა მოძღვარი ცხოვრებისაკენ დაუსრულებელისა და საიდუმლოსი: მას პატიოსანი შრომით გაეტარებინა ცხოვრება თვისი, თავის მეცადინეობით და გონიერი მზრუნველობით ოჯახიც და თვისი მრევლიც დაეცვა ბოროტისაგან, სიყვარული დაემკვიდრებინა მათში, ხოლო დარაჯად ამ სიყვარულისა და ერთობისა სტოვებდა ისეთს კაცს, რომელსაც უნარიცა ჰქონდა და სურვილიც წარემართა ცხოვრება ისეთივე თანხმობით და კეთილად. ყოველივე ისე მოაწყო იაკობმა, როგორც მოითხოვდა კეთილგონიერება და გული მოყვარული. იაკობი აწ დაწყნარებულ დამშვიდებული განაგრძობდა ცხოვრებას დღითი დღე.

მაგრამ ეწია იაკობ მღვდელს უსაზომო რისხვა ღვთისა და გაუმწარა მას უკანასკნელნი დღენი ცხოვრებისა. და რა მოულოდნელად მოხდა უბედურება! ცა მოწმენდილზე წამოუარა მას ქარიშხალმა სასტიკმა და აღგავა პირისაგან ქვეყანისა ყოველივე იმედი მისი და სიხარული.

მკათათვე იყო. დედა-კაცები და წვრილფეხობა როჭ კალოს უვლიდნენ და დასტრიალებდნენ, ვაჟკაცები ჯერ ისევ ძნას ეზიდებოდნენ. შემოდიოდა სოფელში ძნით დატვირთული ურემი ურემზე სასიამოვნო ჭრიალით. მზე გადასცდა საშუალ დღეს. მღვდლიაანთ ნიჩბით უქცევს კალოს და ბალღებმა ისევ შეატრიალეს კევრები. იაკობ მღვდელმა მოიწმინდა შუბლიდან ოფლი და საბძლის ჩრდილოს შეეფარა. მოისმა ურმის ჭრიალი, საქონლის ლალვის ხმა და გამოჩნდა ძნით დატვირთული ურემი. აბრამ დიაკვანი იჯდა ურემზე და ამხნევებდა საქონელს. ლალას ძლიერ დასცხომოდა, ენა გამოეგდო და აქაქანებული აწვებოდა უღელს. მარჯვნივ რუ ჩამოუწკარებდა, ღობეში შედიოდა; ადგილ ადგილ დაეტბორებინა. გალაქებულმა ლალამ ველარ მოითმინა წყალის დანახვაზე, მთელ ტანით მიაწვა ურემს და ლაფისკენ მიღრიჯა ის. აბრამი გადააფრინდა ყორანს და შეუტია სახრით. კამბეჩმა ფიცხად მიიწია მეორე მხარეს და ურმის ბოლომ ღობეზე მიძეწვა აბრამი. დაეცა ვაჟკაცი. სისხლი წასკდა პირიდან: გულის ფიცარი ჩაჰმტვრეოდა. რამდენსამე დღეზე გათავდა დევივით კაცი და დაინგრათ მღვდლიაანთ ოჯახის საძირკველი.

უბედურებამ გააპრუა მოხუცი. მის გამშრალ თვალებში ადამიანური აზრი აღარა სჩანდა. ეუბნებოდნენ, უჩვენებდნენ, ჩასძახოდნენ, მაგრამ გარკვევით ვერას ასმენდნენ. იძროდა, მიდამოდიოდა, კიდეც ამბობდა, მაგრამ უაზროდ, უყურადღებოდ, უმიხნოდ. ვაიმე, შვილო, ვაიმე! გაისმოდა დროთი დრო მისი კვნესა. მხოლოდ ერთი ცხადი ჰაზრი შერჩენოდა მის გატანჯულ გონებას ერთსა და იმავე კითხვას უბრუნდებოდა მისი გონება:

— ისეთი რა შეგცოდე, უფალო, რომ მოსპე სიხარული ჩემი, ნუგეში ჩემის ოჯახისა, იმედი ჩემის მრევლისა?!

პასუხს კი ვერა ჰპოვებდა, მცირედ მაინც დამაკმაყოფილებელ პასუხს და კითხვა უმეტესის ძლიერებით უბრუნდებოდა მის გონებას, გახურებული შანთივით უვლიდა მის გატანჯულ ტვინს.

დასაფლავებაზე ბლაღოჩინიც მოიწვიეს. საყდარში იაკობი თავს ედგა მიცვალებულს და აქაც იმავე კითხვას იმეორებდა უნებლიედ, ცეცხლის ასოებით. აღბეჭდილ კითხვას. პასუხი კი არსად იყო, არსად! გახედა ხატებს. გაჭირვების დროს ბევრჯელ ამოუკითხავს იაკობს მათ ჰქვიან თვალებში საჭირო გრძნობა თუ რჩევა. იმედი ჰქონდა, ეხლაც ამცნებდნენ რასმე, მოაშორებდნენ ამ მტანჯველ კითხვას, მაგრამ მათ გაყინულ თვალებში დღეს ველარა ფერი თანაგრძნობა ველარ ამოიკითხა, ვერც ჰაზრი. ღვთის მშობელიც კი ცივად უყურებდა, ღვთისმშობელი, რომელსაც გამოცდილი ჰქონდა საყვარელი შვილის ტანჯვით სიკვდილი!

ქელეხზე მთელი სოფელი დაესწრო. აბრამის ძმა დათიკოც ამოვიდა ქალაქიდან. თეთრი თავთა ეცვა. გამოწყობილი ტალავარი ზედ შემოჰლესოდა ზერდაგს. ფეხსამოსი მოუსაპნავ დერძივით უჭრიალებდა. რუსულს ამბობდა. ხალხს არ ეკარებოდა, უკადრისობდა. თუთუნს აბოლებდა. ბლაღოჩინისაკენ იწევდა, მას ეტმასნებოდა. მოძღვართ უხუცესმა აიღო ჭიქა და მიჰმართა ჭირისუფალს:

— ძმაო იაკობ! დიდი უბედურება გეწია სიბერის დროს, მაგრამ ყოველივე განგებაა ღვთისა და ნება მისი. ნუ მიეცემი სასოწარკვეთილებას! ღმერთმა შეუნდოს განსვენებულ აბრამს და გიცოცხლოს სანუგეშოდ ეს შენი მეორე შვილი დავითი. აბრამის მაგივრად ეხლა ამას გიკურთხებთ მღვდლად. სურვილი უკვე გამოაცხადა. განათლებული კაცია და სახელოვნად განაგრძობს თქვენს გვარში მღვდლობას.

იაკობ მღვდელმა შეხედა თავის შვილს, გადახედა თავის საყვარელ მრევლს და ცრემლთა ნაკადმა გადმოხეთქა თვალთაგან თეთრად გაპენტილ წვერზე.

ვ. ბარნოვი.

მოურკვევლობა არსებითად თავიდანვე შეცდომა იყო, მაგრამ გამომცემლების მხრივ ეს იყო შეცდომა უადგილო და ზედმეტ ზრდილობიანობის ნიადაგზე აღმოცენებული, ხოლო ბ-ნ რუტსოვსკის მხრივ კი შეცდომა ან გადამეტებულ გულუბრყვილობას და ან გაზვიადებულ წარმოდგენისა თავის თავზე.

რაც უნდა იყოს, გამომცემლების და რედაქტორ-თანამშრომლების ურთიერთობა უფრო კერძო ხასიათის საქმეა, ვიდრე საზოგადოებრივ მნიშვნელობისა. საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ თავად-აზნაურების მესვეურები გაზეთის საჭიროებას ჰგრძნობენ და დაქირავებულ შრომით სცდილობენ გავლენა იქონიონ საზოგადოებრივ აზრზე გაზეთის საშუალებით. საინტერესოა აგრეთვე, რომ ამ გავლენიან ჯგუფს საჭიროდ მიაჩნია არა ქართული, არამედ რუსული გაზეთი. ჩვენის ფიქრით, ეს უტყუარი სიმპტომია იმ უფსკრულისა, რომელიც ჰყოფს ერთმანეთისაგან ქართველ ხალხს და იმის ბრწყინვალე წოდების მესვეურებს. სწორედ ეს უფსკრული, ეს გარიყულება ქართულ ცხოვრებიდან ჰქმნის ისეთს მდგომარეობას, რომ ამ ჯგუფს თავის აზრების მიხედვით და თავის მიმართულების კვალობაზე გაზეთის წასაყვანად მატერიალური სახსარი კი მოეპოვებათ, მაგრამ პირადი ძალები ვერ უპოვიათ თავის წრეში და იძულებულ არიან დაქირავებულ შრომით წავიდნენ იოლას.

უფრო საინტერესოა, რომ ორივე ჯგუფი, როგორც გამომცემლების, აგრეთვე რედაქტორ-თანამშრომლების მიმართულებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ გამომცემლების ჯგუფს ვერ უთქვამს პირდაპირ, რა აქვს მას საერთო ძველ სარედაქციო კოლლეგიასთან, ხოლო რედაქტორ თანამშრომლებს ვერ გამოურკვევიათ, რა მხრივ განსხვავდება იმათი მიმართულება გამომცემელთა მიმართულებისაგან. ჩვენი დრო უფერულობის დროა. ყველა თავის აზრს და მიმართულებას ჰმალავს, ზოგი ნებით, ზოგი უნებურად; ზოგი მარჯვნივ პრესტიჟის შესარჩენად, ზოგი მარცხნივ დიდების დასამსახურებლად. ეს საერთო უფერულობის ხანა ზოგ გარკვეულ მიმართულებას უჩრდილავს სახეს, ხოლო ზოგის გამოურკვეულობას კი ფარდასავით გადაეფარება, თითქოს ამ ფარდის უკან რაიმე განსაზღვრული აზრი და მიმართულება იმალებოდეს. „ზაკავკაზიეს" გამომცემლების და ყოფილ სარედაქციო კოლლეგიის მიმართულება თუ მიმართულების უქონლობა ეხლანდელ საერთო უფერულობის გავლენით უფრო ძნელი გამოსაცნობი ჰხდება. ამის დამიუხედავად თუ ან გამომცემელთა ჯგუფს ან ძველ სარედაქციო კოლლეგიის სწადიან, მათს განხეთქილებას ფართო საზოგადოებამ დასდოს მსჯავრი, ორივე ჯგუფმა ყოვლის უწინარეს მიმართულებათა განსხვავება უნდა გამოარკვიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათს კონფლიქტს მხოლოდ კერძო ხასიათის პირად უთანხმოების ხასიათი ექნება.

Neseis.

ქალაქის პირველ-დაწყებითი სკოლები

ქუთაისში

ქალაქის გამგეობა ინახავს ქუთაისში ოთხ პირველ-დაწყებით სკოლას, ამათ რიცხვში ერთი ქალთა ორკლასიანია და სამი კი ვაჟთა ერთკლასიანი. წელს მოსწავლეთა რიცხვმა ამ სკოლებში ბევრად იმატა; ყველგან აუარებელი მოსწავლე მიაწყდა და ბევრი უარით გაისტუმრეს.

მთხოვნელები თითქმის დღესაც მოდიან სკოლებში. ვაჟთა ერთკლასიან სკოლებში ყველაზე მეტი მოსწავლე სწავლობს მესამე სკოლაში. წელს იქ გამოცხადდა 200-მდე მთხოვნელი, რის გამო სკოლის საბჭომ დაადგინა პარალელური განყოფილების გახსნა და ნებართვის ასაღებად მიმართა ქალაქის გამგეობას გამგეობამ ნება დართო და საკლასო ოთახის გადასაკეთებელი ხარჯიც გამოიღო. 9 სექტემბერს გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც მიღებულ იქმნა 62 მოსწავლე ვაჟი და ქალი. მასწავლებლად სასწავლებელთა გამგე კომისიამ მოიწვია მასწავლებელი ქალი ა. ქუთათელაძე, რომელსაც ეძლევა ჯამაგირი მოსწავლეთა მიერ შემოტანილ ფულებიდან. ამ გვარად მესამე სასწავლებელში დღეს სწავლობს 230 მოსწავლე და 40-მდე ბავშვს კიდევ უარი ეთქვა. მოხდენილ ადგილზე არსებობა, შენობის სიდიდე, კარგი და დიდი ეზო და თან მოსწავლეთა რიცხვი ნებას აძლევს, რომ ეს სასწავლებელი მომავალ სამოსწავლო წლიდან გადაკეთებულ იქნას ორკლასიანად, ხუთი წლის კურსით, სადაც შემდეგ მოსახერხებელი იქნება დაარსდეს სავაჭრო კურსები, რომელიც დიდს სარგებლობას მოუტანს ღარიბ მცხოვრებლებს.

ამას წინად ქალაქის ხმოსანმა ბ-მა მოსეშვილმა განიზრახა და მგონი კიდეც შეიტანა პროექტი ქალაქის გამგეობაში ამის შესახებ. ურიგო აზრი არ არის და საჭიროა სასწავლებელთა გამგე კომისიაც მიაქცევდეს ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას და შეიტანდეს მოსსენებას განახლებულ საბჭოში.

ველოდით, რომ ქალაქის სკოლებში ამა სამოსწავლო წლიდან სწავლის ფული მოსპობილ იქნებოდა და უფასო სწავლა დაწესდებოდა, მაგრამ ხოლერამ დიდი ხარჯი მისცა ქალაქს და მის გამო ამის შესახებ ჯერ-ჯერობით საკითხი გადადებულ იქნა. მალე საჭირო იქნება სწავლის ფულის მოსპობა, რადგან დირექცია აპირებს რამოდენიმე უფასო პირველდაწყებითი სკოლების გახსნას.

ლადო ბზვანელი.

მოწერილი ამბები

ჭრებალო (ლეჩხუმის მაზრა). ამ წელს ჭრებალოში დაარსეს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რომლის დაარსებაშიაც დიდი შრომა და თაოსნობა მიუძღვის თავად გრიგოლ დიასამიძეს. ეს პატივცემული კაცი რომ არ გაგვჩენოდა და დიდი შემწეობა არ გაეწია, როგორც მოქმედებით, ისე ნივთიერის დახმარებით, ჩვენ ფოსტის განყოფილებას მალე ვერ მოვესწრებოდით.

29 აგვისტოს ამავე გრ. დიასამიძემ მოაწვია ჭრებალოს ხალხი, ყველა წოდებისანი და მოელაპარაკა, რომ ხალხისთვის დიდად საჭიროა შემნახველ-გამსესხებელი ბანკის დაარსება ჭრებალოში. ეს ბანკი დიდ სარგებლობას მოუტანს ხალხს და არც ძნელია მისი დაარსებაო. ხალხმა შეისმინა, ბანკის წევრობის მსურველიც ბევრი აღმოჩნდა და საქმის გაკეთებასაც შეუდგნენ.

ამავე დღეს მოვიდა პოლიციის ადგილობრივი ბოქაული კაშელნიკოვი და გამოუცხადა ხალხს, რომ ჭრებალოში სხვათა შორის აუცილებლად საჭიროა ორ-კლასიანი სახელმწიფო სასწავლებელი, გითხოვთ და დაგვიარსებენო. ხალხს არავითარი ხარჯი არ მოუვა, მხოლოდ სასწავლებლის შენობა უნდა ააგოთო. ხალხმა იკისრა სახლის დასადგმელ მიწისა და შენობისათვის ხე-ტყის მოპოვება. ბოქაულმა ჩააგონა მათ, რომ იგი ეცდება ამ საგნისათვის რომელიმე მებატონისაგან უსასყიდლოდ მიწას და ხე-ტყის შეძენას და ჩემის მხრით 30 მანეთს შეგეწევითო.

ბოქაულს დაეხმარა პატივცემული თავადი დიასამიძე, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ხალხში, შეაგონა ხალხს სასწავლებლის საჭიროება და მნიშვნელობა და აღუთქვა შემწეობა და დახმარება და თავის საკუთრებიდან შესწირა ამ საქმეს 100 მანეთი. ხალხი დიდი მადლობელი შეიქმნა და შეუდგნენ ამ საქმის წარმოებასაც და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ორი საქმე ამ კეთილ კაცების საშუალებით და თაოსნობით აგვისრულდება თავის დროზე. ბ. დიასამიძე დიდი გულშემატკივარი და კეთილის მყოფელი მამა გამოუჩნდა ჭრებალოს, რაც კი რამ შეიძლება და საჭიროა ხალხისათვის, ყველას ფიქრობს და ზრუნავს, გაჩინოს აქ ხალხის სასარგებლოდ და საბედნიეროდ, რის გამოც ყველა დიდი მადლობელია.

დეკ. ნ. ფრუიძე.

ქუთაისი. საერო განათლების მინისტრის წინადადებით 1885 წ. 14 აგვისტოდან ვაჟი შვილები იმ სახალხო მასწავლებელთა, რომლებიც მსახურებენ, ანუ უმსახურნიათ არა ნაკლებ ათის წლისა სამინისტრო სკოლებში, საშუალო სასწავლებლებში გიმნაზიის წესდების 31 პარაგრაფის ძალით, თავისუფლდებიან სწავლის ფულებიდან, ხოლო ქალიშვილებზედ კი არ ვრცელდება ასეთი უფლება. მართლაც ახირებულია ამგვარი დადგენილება: აქ ძალაუნებურად ის აზრი იბადება, რომ ქალიშვილები ან არ ითვლებიან შვილებად, ან და მათთვის არ არის საჭირო სწავლა-განათლება. ბევრია ისეთი მასწავლებელი, რომ ვაჟი სულ არა ჰყავს და სამაგიეროდ ორ-სამ ქალიშვილს ზრდის საშუალო სასწავლებლებში, სწავლის ფულს იხდის წელიწადში 200 მანეთამდე, როდესაც თვითონ დებულობს 365 მანეთს წელიწადში, 6% გამორიცხვით საპენსიო კასისათვის.

აი, ამის გამო, ამ დღეებში რამდენიმე სახალხო მასწავლებელმა ინახულა ქუთაისში სათათბიროს დეპუტატი გეგეჭკორი, რომელსაც წარუდგინეს ხელმოწერილი ქაღალდი და სთხოვეს აღძრას სათათბიროში საკითხი იმის შესახებ, რომ მასწავლებელთა ქალიშვილებიც განთავისუფლებულ იქმნან სწავლის ფულიდან საშუალო სასწავლებლებში. დეპუტატი გეგეჭკორი მასწავლებლებს დახმარებას დაჰპირდა.

ლ. ბ.

თეატრი და ხელოვნება

დ. ცაგერი (ლეჩხუმის მაზრა). 19 სექტემბერს ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა დ. ცაგერში დასდგეს ცნობილი პიესა „და-ძმა". მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი ნ. ჟორჟოლიანი (მარინე) და ს. გოგიძე (ვარდია) და ბ-ნნი ვ. გელოვანი (გაიოზ) კ. მაჭარაძე (ოტია) ლ. მჟავანაძე (ფაშა) ს. მჟავანაძე (ადამია) და სხვა. მიუხედავად ბევრგვარ დაბრკოლებისა, წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. განსაკუთრებით აღტაცებაში მოიყვანეს მაყურებელნი კ. მაჭარაძემ და ს მჟავანაძემ თავის არტისტიულ ნიჭით და თამაშით: თუმცა არც დანარჩენთ გაუწყვეტიათ საანსამბლო ძაფი და ერთი მეორეს მწყობრად მისდევდნენ. საერთო მთავარი ნაკლი როლების უცოდინარობა იყო.

წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო და მთელი შემოსავალი გადაიდვა ცაგერის სახალხო უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ.

უღრმესი მადლობის ღირსნი არიან როგორც სცენის მოყვარენი, აგრეთვე ყველა **გულწრფელი** დამხმარენი ამ კეთილ საქმიანობისა. დარწმუნებულნი ვართ, რომ მიუხედავად სხვა-და-სხვა გვარ დაბრკოლებისა ცხოვრების დუხჭირ ტალღებს მედგრად შეებრძოლებიან და უფრო თანამედროვე პიესების დადგმით მეტ სინათლეს შეიტანენ ჩვენი სოფლის წყვდიადში.

Leus.

ქუთაისი. დღეს,—1 ოქტომბერს—იხსნება ქართული წარმოდგენების სეზონი. წარმოდგენილ იქნება ახალი პიესა იაპონელთა ცხოვრებიდამ „ტაიფუნით".

თეატრი შეკეთებულ-შელამაზებულია. პიესების საუკეთესოდ წარმოსადგენლად შემოღებულია „პავლოვის სისტემა". ბევრს საყურადღებოს და ახალს პიესებს გვპირდებიან სეზონის განმავლობაში, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ორიგინალურ პიესებზე იქნება მიქცეული. თვეში ერთხელ მაინც წარმოდგენილ იქნება რომელიმე ისტორიული პიესა, უფრო ისეთი, რომელიც ან სულ არ უთამაშნიათ ქუთაისში, ან დიდი ხანია რაც არ წარმოუდგენიათ.

დრო—გამოშვებით მთელი სალამოები დათმობილი ექმნება აგრეთვე მხიარულ კომედიებსაც.

დრამ. საზ. გამგეობა სთხოვს დამსწრე საზოგადოებას დაეხმაროს იგიც შემდეგი წესების სერიოზულად ასრულებაში:

1) წარმოდგენები დაიწყება სწორედ რვა საათზე.

2) ფარდის ახდის შემდეგ პარტერში შესასვლელი კარები უეჭველად დაიკეტება.

3) მეორე ზარის შემდეგ ყველამ თავისი ადგილი უნდა დაიჭიროს.

რომ არ ვიყოთ მუდმივი მომდურავი წარმოდგენების უსწორ-მასწოროდ დაწყობისა, გვიან გათავებისა და ჩვენს თეატრში ჩვეულებრივ უწესრიგობისა, თითონ საზოგადოებამ კეთილ ინებოს და ამ წესს ღირსეულის პატივისცემით მოექცეს...

ჯაფარ-ფაშა.

უცხოეთი

მანიფესტაციები ვენაში.

19 სექტემბერს ვენაში დიდი მანიფესტაციები მოხდა ხორცზე ფასების აწევისა გამო. ამ მანიფესტაციებში 300 ათასზე მეტი კაცი იღებდა მონაწილეობას. ასეთი რიცხვმრავალი მანიფესტაცია 1905 წელსაც არა ყოფილა, იმ დროს, როდესაც ხალხი საყოველთაო არჩევნების უფლებას თხოულობდა. მიუხედავად იმისა, რომ ქუჩებში აუარებელი ხალხი იყო გამოფენილი, წესიერება იოტისოდენადაც არ დარღვეულა.

სოციალ დემოკრატების გარდა, პროცესიაში მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის კორპორაციები, რომელთაც ჰმეთაურობდნენ ლანდტაგისა და რეიხსტაგის წევრები.

სახელ-დახელოდ გაკეთებულ ტრიბუნებზე გამოდიოდნენ ორატორები და გმობდნენ მთავრობის მიერ აგრარიების მხარის დაჭერას, რის მიზეზითაც საზღვარ-გარეთიდან ხორცი აღარ შემოდის.

ინგლისში,—ამბობდა ერთი ორატორთაგანი ერთი კილო (ერთი ოყა, 3 გირვ.) არგენტინიდან მოტანილი ხორცი 85 გროში ღირს და ავსტრიაში კი არ შემოაქვთ ეს ხორცი, რომ მით აგრარიებს შემოსავალი არ მოაკლონო. დეპუტატმა შუმეიერმა აღტაცებულის სიტყვით მიჰმართა აუარებელ ხალხს და მოითხოვა: მთავრობამ ნება უნდა მოგვცეს, რომ ბალკანეთიდანა და არგენტინიდან ხორცი შემოვიტანოთო.

ამ საგნის გამო ავსტრიის სხვა ქალაქებშიაც მოხდა დიდი მიტინგები.

კონსერვატორები სოციალ-დემოკრატებს მიეშველნენ.

ჩვენმა მკითხველებმა იციან რომ ფრანკ-ფურტის არჩევანებზე ს. დ-ებმა გაიმარჯვეს. ზოგიერთი ლიბერალური გაზეთი ამტკიცებს: სოციალ-დემოკრატებმა იმიტომ გაიმარჯვეს, რომ მათ კონსერვატორები მიეშველნენ, რომელთაც ნაციონალ-ლიბერალ კანდიდატს სოციალისტი ამჯობინეს ამ გაზეთებისავე სიტყვით კონსერვატორები იმიტომ მიეშველნენ სოც.-დემოკრატებს ხომ თავის კანდიდატს ვერ გაიყვანდნენო.

უცხოელები გერმანიის უნივერსიტეტში.

გერმანიის უნივერსიტეტში 4,205 უცხოელი სტუდენტი ითვლება. ამათგან რუსია 1,795, ავსტრიელი და უნგრელი 737 შვეიცარიელი—262, ბოლგარიელი—160, ინგლისელი—154, რუმინელი—125 და სხვა ეროვნებათა—1000.

ფაკულტეტების მიხედვით უცხოელი სტუდენტები ასე განაწილდებიან ექიმები—1499, ფილოლოგები—916, იურისტები—469, ღვთისმეტყველები—156 მათემატიკები—655 და კბილის ექიმები—27, ყველაზე ბევრი უცხოელი სტუდენტი ბერლინშია—1210 კაცი.

სრულიად რუსეთის დღესასწაული ფრენისა

(წერილი პეტერბურგიდან).

საუცხოვოდ დაწყებული პირველი კვირა ფრენისა შესაფერად ვერ დაბოლოვდა. უკანასკნელი ორი დღე ავიატორის კვირისა მოქუშულ-მტირალა ამინდად შეიცვალა. ძლიერი ქარი ხომ **ყოვლად** შეუძლებლად ხდიდა ფრენას. მიუხედავად ამისა ახალგაზრდა მფრინავებმა მაინც გაბედეს აფრენა და ქართან ბრძოლაში დიდი სიყოჩაღე გამოიჩინეს. ხან და ხან ქარი ჰაეროპლანს პირდაპირ აყირავებდა, გლეჯდა და ამტვრევდა; მაგრამ მარცხი მაინც არ მომხდარა. სამაგიეროდ ავიაციის მეორე კვირის დასაწყისი შესამჩნევი იყო, როგორც ამინდებით ისე შედეგებით.

20 სექტემბერს, დილას, ქარმა უკანასკნელი ღრუბელიც სადღაც გადაისროლა და პეტერბურგის მუდამ მოქუშულ ცაზე მხიარულად ბრწყინავდა მზე. ქარიც თითქოს ამას უცდიდაო, მინელდა. პეტერბურგელებმაც მაშინვე ისარგებლე შემთხვევით და სამხედრო აეროდრომს აუარებელი ხალხი მიაწყდა.

იქ კი ყველანი დიდ მხიარულებაში იყვნენ, უნდოდათ ესარგებლნათ სამაგალითო ამინდით.

ამ დღეს მოხდა 40 მშვენიერი აფრენა, მფრინავთა შორის ყურადღებას იპყრობს, რასაკვირველია, მ. ეფიმოვი. იმისი მოხდენილი მიწიდან აფრენა, საშიშარ ქამანდები ჰაერში და პირდაპირი ჩამოშვება მიწაზე კაცს აღელვებს, თვალსა სტაცებს. რასაკვირველია, პირველ ჯილდოს მიღებაშიც მ. ეფიმოვს ვერავინ შეეცილება, ვინაიდან ეფიმოვი ყველაზე მეტს ფრინავს, ყველაზე კარგად ეშვება ძირს და ყველაზე მაღლაც ადის.

სამხედრო ავიატორებს შორის საუკეთესო ადგილი დაიჭირეს პორუჩიკმა რუდენევმა და პორ. მატიევიჩ-მაციევიჩმა. პირველმა აეროდრომს მიანება თავი და გასწია ქალაქში სასეირნოდ; შემოუფრინა უმაღლეს ისაკის ტაძრის გუმბათს, და ისევ უკან დაბრუნდა.

ქალაქში დიდი აღტაცება გამოიწვია აეროპლანის დანახვამ. აუარებელი ხალხი იკრიბებოდა ქუჩებზე და იძახოდა ვაშას.

პ. მატიევიჩ-მაციევიჩი კი ამ დროს მაღლა მაღლა ადიოდა სანამ ბოლოს, პაწაწა ფრინველს არ დაემსგავსა. საუცხოვო სანახავი იყო ამ სიმაღლეზე ჰაეროპლანი, მზის სხივებზე ლაპლაპებდა პაწაწა თეთრი კალია (იგრე უწოდებდენ „ბლერიოს"). უნებურად მიაქვს კაცს ხელი ქუდისაკენ და აქნევს მას ჰაერში, როდესაც დაინახავს „ბლერიოს" კალიას. გგონია, აგერ აგერ დაიფრთხიალებს. და თვალთაგან გაჰქრება არ გინდა მოაცილო თვალი. გეშინია, როდესაც ადარებ ამ ნაზ მანქანას, მოუხეშავ ფარმანს. მაგრამ [illegible] ბლერიოს უკეთესი აქვს ვიდრე ფარმანს. სისწრაფეში, სიმაღლეზე აფრენაში, ლამაზად დაშვებისა და აფრენაში — ყველაფერში სჯობნის ეს საოცარი კალია ფარმანის ტლანქ ბიპლანს. მხოლოდ ქართან ბრძოლაში თუ ჩამორჩება „ბლერიო" უკანასკნელ სინაზის გამო. სამწუხაროდ აქ ბლერიოს აპარატი ორს თუ სამს აქვს ეფიმოვს გარდა, რომელსაც ბლერიოზედაც და ფარმანზედაც მშვენივრად შეუძლია ფრენა.

აგერ ერთად ხუთი „ფარმანი" დაფრინავს; დაიფრთხიალა „ბლერიოს" კრაზანამ და ხელად ავარდა ზევით ყველაზე მაღლა, დანავარდობს ცის სივრცეში...

მაგრამ ამ დროს საიდანღაც ამოიტუზა ვეებერთელა შავი ბურთი „მონგოლფიერის სფერო (შარი)" რომელსაც თოკებით დაჰკიწრიალებია ადამიანი... ეს გახლავთ დრევნიცკი, რომელიც ოდესღაც ტფილისშიაც გაფრენილა. იგი უნდა აფრინდეს მაღლა და იქიდან დედა-მიწაზე პარაშიუტით დაეშვას.

ამხედ საზარელი და საშინელი სანახავი არაფერია!

რამდენიმე წუთის განმავლობაში თქვენი ნერვები იჭიმება. გულის ფანცქალით ხედავთ როგორი სისწრაფით მიდის მაღლა ვეებერთელა ბურთი და თან მიაქროლებს თოკზე დაკონწიალებულ ადამიანს. უეცრად ბურთი მოსცილდება ადამიანს, რომლის თავზედაც ლამაზად იშლება ვეებერთელა ქოლგა, სფერო კი გადმოტრიალდება ჰაერში და დაიწყებს ბოლვას, სანამ სრულიად არ დაცარიელდება გახურებულის ჰაერისა და კვამლისაგან, შემდეგ კი ნელ ნელა ეშვება მიწაზე, ხშირად მოხდება ხოლმე რომ „პარაშიუტი" რამე მიზეზის გამო არ გაიშლება და მაშინ მფრინავს აუცილებელი სიკვდილი ელის, სწორედ ეს მომენტი აგიძგერებთ გულს და ცახცახს დაგაწყებინებთ—ვაი თუ არ გაიშალოს!..

არც ერთი ჰაეროპლანი არ ახდენს ისეთ საშინელ შთაბეჭდილებას, როგორც პარაშიუტზე ჩამოშვება.

ისევ აეროპლანები დასრიალებენ ჰაერში. მხოლოდ თითო აეროპლანზე ახლა ორ-ორი, სამ-სამ [illegible]

[illegible] აეროდრომზე. ეფიმოვს და მაცკევიჩს მობეზრებული აქვთ თავი მთხოვნელებისაგან...

სხვათა შორის იფრინეს პრემიერ მინისტრმა პ. ა. სტოლიპინმა, სათათბიროს თავმჯდომარემ გუჩკოვმა, ლიტერატორებმა მენშიკოვმა, ბრეშკო-ბრეშკოვსკიმ და მრავალ. სხ.

აგრეთვე ეფიმოვთან დაფრინავდენ ქალებიც. დაეშვება თუ არა ჰაეროპლანი მგზავრით, მაშინვე შემოეხვევიან უკანასკნელს და სთხოვენ შთაბეჭდილებანი გაუზიარონ. ყველანი აღტაცებით უზიარებენ შთაბეჭდილებას. „მადლობა ღმერთს ისეთ ადგილას მოხვედრას ველირსე, სადაც, არავინ არ უშვრება კრიტიკას საზღვაო სამინისტროს". ისმის მხიარული ოხუნჯობა და ხარხარი.

საკვირველად იტაცებს ყველას ფრენა. აეროდრომზე აღარ ისმის არაფერი შინაურ საქმეების შესახებ. თითქოს ივიწყებენ თავის თავს და ცხოვრებენ აეროდრომის სიცოცხლით.

ჯერ დრევნიცკი არც კი დაშვებულა დედამიწაზე, როდესაც შორს გამოჩნდა ჰაერში ფრინავი გემი (დირიჟაბლი). მას მიეგებნენ ჰაეროპლანებით ეფიმოვი და რუდნევი. ამ ვეებერთელა ნესვის მსგავს მანქანას თავს დასტრიალებენ ორი პაწაწა ბიპლანი; გამახსენდა საქართველო, სადაც ხშირად მინახავს, მიმინო ან გუგული, რომელთაც მუდამ წყვილად დასდევს ერთგვარი პაწაწა ფრინველი.

ხალხის აღტაცებას საზღვარი აღარ აქვს. ვაშას ძახილით ისვრიან მაღლა ქუდებს. დირიჟაბლი კი ნელნელა ეშვება ვეებერთელა მინდვრის შუა გულში. ხალხმა ვერ შეიკავა თავი. ვაშას ძახილით მისცვივდენ მოაჯირს, დაამტვრიეს იგი და გაექანენ დირიჟაბლისკენ, მაგრამ პოლიციელების შემწეობით, როგორც იქნა მინდორი ხალხისაგან განთავისუფლეს.

ამდონ ხანს შეუმჩნევლად იბერებოდა კუთხეში ვეებერთელა მეორე სფერო „ტრეუგოლნიკის" ფირმისა, იგი ნელ-ნელა აფრინდა ზევით; კალათაში თბილს ტანისამოსში გამოხვეულნი სხედან პოლკოვნიკი ოდინცევი და პროფესორი კუზნეცოვი. ისინი აპირებენ ფინლიანდიისაკენ გაფრენას. სფეროს ეძნელება ზევით ასვლა, ჰყრიან იქიდან ქვიშას, სფეროც უმატებს სისწრაფეს და მალე კვერცხის ოდენად სჩანს, გამტერებული ხალხი მოდის გონს და მგზავრებს თვალებით გზას მშვიდობისას ულოცავს.

პირველი დღეების ნამდვილი აპოთეოზი იყო პორ. რუდნევის 1500 მეტრამდე ასვლა და აფრენის პიონტროვსკის პეტერბურგიდან კრონშტადში გადაფრენა.

ამის შესახებ შემდეგ წერილში.

სოლი.

განცხადებანი

ახალი საქონელი მუდამ იშოვება
ა. ქ. ბუქსაღოვის
მაღაზიაში
გოლოვინ. პრ., სახაზინო თეატ. პირდაპირ. მრავალი მშვენიერი და [illegible] ნივთები, რომლებიც მუდამ ყოველ კვირა რუსეთის [illegible] ფირმებისაგან. [illegible] საგალანტერეო საქონელი, ქალისა და კაცისთვის თეთრეული, [illegible] ნივთები, მაგალითად: სამართებლები, თავის გასაკრეჭი მანქანები და [illegible] დანები. [illegible]
ფასები ზომიერია
(10—103—1)

ცხოველების გამჭრიახობა
პატარა ბავშვების პირველი საკითხავი დასურათებული წიგნი.
ფასი 25 კაპ.
იყიდება „ჯეჯილის" რედაქციაში: არტილერიის ქუჩა № 5, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.
ვინც ათზე მეტ წიგნს იყიდის, მათ დაეთმობათ 20 კ. (10—58—7)

სტამბა „სინათლე" რუსთ. ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სოლოღაშვილი